სანოტარო აქტი

ხელშეკრულება

ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის

საკუთრებაში არსებული

უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ

(პირდაპირი მიყიდვის ფორმით)

გადახდის განვადებით

2008 წლის ოცდაორი აგვისტო

ნოტარიუსი ქ.ოდილავაძე

თბილისი, ქ. შარტავას ქ. №7

რეესტრში რეგისტრაციის №4982/1

საქართველო

ორი ათას რვა წლის ოცდაორ აგვისტოს, მე, ქეთევან ოდილავაძეს, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, კ. შარტავას ქ. №7 მომმართეს: ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეული, ქალაქ თბილისის მერიის (თბილისის მთავრობის) სახით ქ.თბილისის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) მერიის ადმინისტრაციის უფროსმა მამუკა ახვლედიანმა (შემდგომში, გამყიდველი) და მეორე მხრივ შპს „ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების დეპირელის სახელობის კერძო კოლეჯის დირექტორის ჯანერ დინჩერის ნდობით აღჭურვილმა პირმა **რესულ დიქმენმა** (მინდობილობა დამოწმებული 2008 წლის 16 ივნისს ნოტარიუსის მ.ბრეგვაძის მიერ რეესტრი №1-7251). (შემდგომში, მყიდველი), რომლებმაც განაცხადეს, რომ სურთ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მხარეების პირადობა, მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი რომ, ნამდვილად: მამუკა ახვლედიანმა (დაბ.22.06.1973წ., მცხ.ქ.თბილისში, თხინვალის შესახ.№9, პ/მ №01017007577, №გ0857621 გაცემული მთაწმინდის სამპასპორტო მრ და სარ სამსახურის მიერ 16.01.2000წ.) და რესულ დიქმენმა (დაბ.26.03.1972წ., მცხ.ქ.თბილისში, გორგასალის ქ.№39, ბ.7, პ/მ №01015024655, №ა0004295 გაცემული სრს კრწანისის სამსახურის მიერ 22.02.2006წ.) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. ასევე დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, მე შევამოწმე ის ფაქტი, რომ ნასყიდობის საგანი (უძრავი ქონება) ნამდვილად ეკუთვნის გამყიდველს.

დავადგინე გარიგების შინაარსი და მხარეებს განვუმარტე: ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთანავე, უძრავი ქონების შემძენი, საკუთრების უფლებას იძენს, საჯარო რეესტრში შეძენის რეგისტრაციის შემდეგ, რისთვისაც აუცილებელია საჯარო რეესტრს წარედგინოს წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

ამ განცხადების შემდეგ მე შევადგინე ნასყიდობის ხელშეკრულების პროექტი, რომელიც წაუკითხე მხარეებს. მათ განაცხადეს, რომ სურთ ხელშეკრულების დადება, სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში. შემდეგ მხარეებმა წაიკითხეს წინამდებარე ხელშეკრულება და ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.

ხელშეკრულება
ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის
საკუთრებაში არსებული
უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით
(გადახდის განვადებით)
ნასყიდობის შესახებ

"ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პირადპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 20 სექტემბრის №1-1\1416 პრიკაზით დამტკიცებული დებულებისა და "ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 5 აგვისტოს №542 განკარგულების საფუძველზე, ორი ათას რვა წლის ოცდაორ აგვისტოს ჩვენ ერთ მხრივ, ქ.თბილისის მთავრობა წარმოდგენილი ქ.თბილისის მერის პირველმ მოადგილის (ვიცე-მერი) მერიის ადმინისტრაციის უფროსით მამუკა ახვლედიანი სახით (შემდგომში გამყიდველად წოდებული) უფლებამოსილება მინიჭებული 2007 წლის 7 დეკემბრის ქ.თბილისის მთავრობის დადგენილება №26.37.851 საფუძველზე და მეორეს მხრივ შპს „ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების დეპირელის სახელობის კერძო კოლეჯი (შემდგომში მყიდველად წოდებულნი) ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. ამ ხელშეკრულების შესაბამისად, გამყიდველი მყიდველს, საქართველოს კანონმდებლობით, დადგენილი წესით, საკუთრებაში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით გადასცემს მიწის ნაკვეთს, საერთო ფართობით 3711 კვ.მ) და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს (საერთო

ფართობით 1680 კვმ.)- რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი, შუამთის ქ. №21, (მიწის საკადასტრო კოდი: №01.19.20.027.002).

2. საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, ხელშეკრულების საგნის წარმოადგენს მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.19.20.027.002 განცხადების რეგისტრაცია №882008073338 – 19/03/2008 12:27:13 მომსახურების თარიღი 31/03/2008 15:11:57 უფლების რეგისტრაციის თარიღი 31/03/2008, სარეგისტრაციო ზონა თბილისი 01, სექტორი 19, კვარტალი 20, ნაკვეთი 027/002, ნაკვეთის წინა ნომერი 27, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო, ფართობი 3711 კვმ, მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა შუამთა №21, მესაკუთრე: ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეული.

მუხლი 2. გამყიდველისა და მყიდველის უფლება-მოვალეობები

1. გამყიდველი ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების საგნის ღირებულების სრულად გადახდის დადასტურების შემდეგ მყიდველს გადასცეს საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;

ბ) დროულად და ხარისხიანად გასცეს პასუხი მყიდველის მიერ დასმულ შეკითხვას ამ ხელშეკრულებასა და ხელშეკრულების საგნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით;

გ) ზემოთ აღნიშნული შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები

2. გამყიდველი უფლებამოსილია:

ა) ვიზუალური ანალიზ დოკუმენტური კონტროლის ფორმით მიიღოს ინფორმაცია მყიდველის მიერ პირობების შესრულების თაობაზე;

ბ) ექვს თვეში ერთხელ მაინც, მყიდველისაგან მიიღოს წერილობითი ინფორმაცია პირობების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე;

გ) განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები;

3. მყიდველი ვალდებულია:

ა) ამ ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული ქონება გამოიყენოს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა და მასწავლებელთა პანსიონატის უზრუნველყოფის მიზნით; .

ბ) წინამდებარე ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე გამყიდველს წარუდგინოს პანსიონატის ფუნქციონირებისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტაცია;

გ) შეუფერხებლად მიაწოდოს გამყიდველს პირობების შესრულებასთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაცია რაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაძლებელია, რომ იყოს ხელმისაწვდომი;

დ) გადაიხადოს ხელშეკრულების საგნის საფასური ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესით და ვადაში;

ე) ხელშეკრულების საგნის საფასურის გადახდისთანავე წარუდგინოს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის სამსახურს;

ვ) ზემოთ აღნიშნული შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები.

ზ) მყიდველი ვალდებულია წარადგინოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წინამდებარე ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი.

4. მყიდველი უფლებამოსილია:

ა) ხელშეკრულების საფასურის გადახდის შემდეგ შეუფერხებლად მიიღოს საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ხელშეკრულების საგანზე და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი;

ბ) შეუფერხებლად მიიღოს ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა ის ინფორმაცია, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება იყოს ხელმისაწვდომი;

გ) განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 3. ნასყიდობის საგნის ფასი და მისი გადახდის წესი

1. „ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 5 აგვისტოს №542 განკარგულების თანახმად, მყიდველი ვალდებულია ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან (ხელმოწერიდან) არაუგვიანეს ერთი წლისა ამ მუხლით გათვალისწინებულ ანგარიშზე გადაიხადოს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი. შემდეგი გრაფიკის დაცვით:

1. 25 სექტემბერი - 20 000 (ოცი ათასი) ლარი;
2. 25 ოქტომბერი - 20 000 (ოცი ათასი) ლარი;
3. 25 ნოემბერი - 20 000 (ოცი ათასი) ლარი;
4. 25 დეკემბერი - 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი;
5. 25 იანვარი - 48 000 (ორმოცლარვა ათასი) ლარი;
6. 25 თებერვალი - 48 000 (ორმოცლარვა ათასი) ლარი;
7. 25 მარტი - 48 000 (ორმოცლარვა ათასი) ლარი;
8. 25 აპრილი - 48 000 (ორმოცლარვა ათასი) ლარი;
9. 25 მაისი - 48 000 (ორმოცლარვა ათასი) ლარი;
10. 25 ივნისი - 48 000 (ორმოცლარვა ათასი) ლარი;
11. 25 ივლისი - 48 000 (ორმოცლარვა ათასი) ლარი;
12. 20 აგვისტო - 39 000 (ოცდაცხრამეტი ათასი) ლარი;

2. მყიდველის მიერ ხელსეკრულების საგნის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე 300773313.

მუხლი 4. ნასყიდობის საგნის უფლებრივი და ნივთობრივი უნაკლობა.

1. ნასყიდობის საგანი საკუთრების უფლებით ეკუთვნის გამყიდველს, რაც შემოწმებულია და დადასტურებულია შემდეგი დოკუმენტებით: 1) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.19.20.027.002 განცხადების რეგისტრაცია №882008073338 – 19/03/2008 12:27:13 მომზადების თარიღი 31/03/2008 15:11:57 უფლების რეგისტრაციის თარიღი 31/03/2008; 2) საკადასტრო გეგმა, განცხადების რეგისტრაცია №092323-08 მომზადების თარიღი 03.04.2008 3) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და ქ. თბილისს (თბილისის მერია) შორის 04.10.07წ. გაფორმებული ქ. თბილისის საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულება.

2. ნასყიდობის საგანი არის უფლებრივად უნაკლო. იგი არ არის დაგირავებული, რაც დასტურდება ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.19.20.027.002 განცხადების რეგისტრაცია №882008073338 – 19/03/2008 12:27:13 მომზადების თარიღი 31/03/2008 15:11:57 უფლების რეგისტრაციის თარიღი 31/03/2008;

3. „გამყიდველის" განცხადებით, ნასყობის საგანი არ არის სადავო, მესამე პირს არ შეიძლება რაიმე პრეტენზია ჰქონდეს ნასყიდობის საგნის მიმართ.

4. მხარეებმა განაცხადეს, რომ „ნასყიდობის საგანი" ნივთობრივად უნაკლოა. ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის, მყიდველმა მოიწონა ნასყიდობის საგნის ხარისხი.

5. იმ შემთხვევაში თუ „ნასყიდობის საგანი" აღმოჩნდება უფლებრივად და/ან ნივთობრივად ნაკლის მქონე, „გამყიდველი" ვალდებულია თავისი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი. „გამყიდველი" უფლებამოსილია უარი თქვას ნაკლის გამოსწორებაზე, თუ ნაკლის გამოსწორება მოითხოვს ნასყიდობის ფასთან შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება მოიშლება და „გამყიდველი" ვალდებულია მყიდველს აუნაზღაუროს ზიანი. თუ მყიდველი არ მოითხოვს ნაკლის გამო ამ ხელშეკრულების მოშლას და არც ნაკლის გამოსწორებას, იგი

უფლებამოსილია მოითხოვოს ნასყიდობის ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი. „მყიდველს" არ წარმოეშობა უფლებები ნასყიდობის საგნის ნაკლის გამო, თუ ამ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამ ნაკლის შესახებ.

მუხლი 5. მყიდველის პასუხისმგებლობა

1. თუ მყიდველი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქონების ნასყიდობის ფასს, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე.

2. შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე მყიდველს უფლება არ აქვს, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე განკარგოს, გასცეს სარგებლობაში ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება. ამასთან, მყიდველი პასუხისმგებელია გადაცემული ქონების შოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

3. გამყიდველის მიერ მყიდველზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მყიდველის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოსა და მყიდველს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ გადაწყვეტილება წერილობით უნდა ეცნობოს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელ ორგანოს.

4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას ვადის მითითებით და მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება ხელშეკრულების საგნის საფასურის ოდენობის 0.1 პროცენტის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საგნის საფასურის გადახდის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ხოლო, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში 20 000 ლარი.

7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად და ასეთ შემთხვევაში მყიდველი მიმართავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.

მუხლი 6. გარიგებათა ბათილად ცნობა

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებასთან დაკავშირებულ სადავო და ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ფორსმაჟორი

12.1. მხარეები თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით, ანუ ისეთი გარემოებებით, რაც მათ კონტროლს არ ექვემდებარება.

12.2. ფორსმაჟორული პირობები ცხადდება საქართველოს ცენტრალური ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების მიერ. თუ ფორსმაჟორული პირობები არ იქნა გამოცხადებული სახელმწიფო ორგანოების მიერ თავისი ლოკალური ხასიათის გამო, ამ პირობების დადგომის საკითხს წყვეტს საქართველოს სასამართლო.

12.3. თუ ფორსმაჟორულმა გარემოებებმა არსებითი ზიანი მიაყენა მოიჯარეს ან გაართულა მოიჯარის მიერ საიჯარო ქონებით სარგებლობა, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულების მოშლა.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი.

1. ამ ხელშეკრულების იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის
... საკადასტრო ... დოკუმენტი: 1) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო ... 19/03/2008 12:27:13 მომზადების ... №01.19.20.027.002 განცხადების რეგისტრაცია №882008073338 – 19/03/2008 12:27:13 მომზადების ... 31/03/2008 15:11:57 უფლების რეგისტრაციის თარიღი 31/03/2008; 2) საკადასტრო გეგმა, ... რეგისტრაცია №092323-08 მომზადების თარიღი 03.04.2008 3) საქართველოს ... 2008 წლის 5 აგვისტოს №542 განკარგულება, 4) ქ.თბილისის მთავრობის 2008 წლის 1 ... №08.34.396 დადგენილება, 5) შპს „ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების ... სახელობის კერძო კოლეჯის წესდება, 6) შპს „ჩაღლარის საგანმანათლებლო ... დებების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან ... 2008 წლის 14 აგვისტოს, №204379369, 7) შპს „ჩაღლარის საგანმანათლებლო ... დებების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის კრების ოქმი, 8) მინდობილობა ... 2008 წლის 16 ივნისს ნოტარიუსის მ.ბრეგვაძის მიერ რეესტრი №1-7251.

... ლი 2008 წლის 16 ივნისს ... გადახდა 1371,75 ლარი, დღგ-ს ... ველს ეკისრება სანოტარო მომსახურების საზღაურის გადახდა 1371,75 ლარი, დღგ-ს ...

3. ეს ხელშეკრულება შედგენილია ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ... რჩება ნოტარიუს ქ.ოდილავაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მხარეებს.

4. ნოტარიუსმა მხარეებს წაუკითხა ეს ხელშეკრულება, მხარეებმა წაიკითხეს ეს ... ულება დანართებითურთ და მკაფიოდ და ნათლად განაცხადეს, რომ ხელშეკრულება ზუსტად ... მათ ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით ხელი მოაწერეს მას.

...ისის მერის პირველი მოადგილე
(...ერი) ადმინისტრაციის უფროსი

... ახვლედიანი

შპს „ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულებების
დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის
დირექტორის ჯანერ დინჩერის ნდობით აღჭურვილმა

პირი რესულ დიქმენ

...ილისის სანოტარო ბიუროს
ნოტარიუსი

ქ.ოდილავაძე

საქართველო

სანოტარო აქტი
2008 წლის 22 აგვისტოს რეესტრი №4982/1
გადახდის განვადებით ნასყიდობის
ხელშეკრულებაში (პირდაპირი მიყიდვის ფორმით)
ცვლილებების შეტანის შესახებ
2008 წლის ოცდაათი დეკემბერი

ნოტარიუსი ა.ოდილავაძე
ქ.თბილისი, შარტავას №7

სანოტარო აქტი

რეესტრში რეგისტრაციის №7242/1

საქართველო

ორი ათას რვა წლის ოცდაათ დეკემბერს მე, ქეთევან ოდილავაძემ, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ტაბიძის ქ.№7. მივლინებული შარტავას ქ.№7-ში (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 11 აგვისტოს ბრძანება №114) მომმართეს: თვითმმართველი ერთეული, ქალაქ თბილისის მერიის (მთავრობის) სახით ქ.თბილისის მერის პირველმა მოადგილემ (ვიცე-მერი) ადმინისტრაციის უფროსმა, მამუკა ახვლედიანმა და **შპს „ჩაღლარი“-ს საგანმანათლებლო დაწესებულებების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი“-ს დირექტორის ჯანერ დინჩერის ნდობით აღჭურვილმა პირმა რესულ დიქმენმა (მინდობილობა დამოწმებული 2008 წლის 16 ივნისს ნოტარიუსის მ.ბრეგვაძის მიერ, რეესტრი №1-7251).** რომელთაც მოითხოვეს ერთმანეთს შორის 2008 წლის 22 აგვისტოს გაფორმებულ გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად: მამუკა ახვლედიანმა (დაბ.22.06.1973წ., მცხ.ქ.თბილისში, თხინვალის შესახ.№9, პ/მ №01017007577, №გ0857621 გაცემული მთაწმინდის საპასპორტო მრ და სარ სამსახურის მიერ 16.01.2000წ.) და **რესულ დიქმენმა (დაბ.26.03.1972წ., მცხ.ქ.თბილისში, გორგასალის ქ.№39, ბ.7, პ/მ №01015024655, №ა0004295 გაცემული სრს კრწანისის სამსახურის მიერ 22.02.2006წ.)** მომმართეს. მე დავადგინე მათი ქმედუნარიანობა და დადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე მხარეებს განვუმარტე წინამდებარე შეთანხმების დადების სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგ შევადგინე წინამდებარე შეთანხმების პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მხარეებს. მხარეებმა წაიკითხეს იგი და მკაფიოდ განაცხადეს, რომ ისინი იწონებენ ამ შეთანხმებას. შემდეგ მხარეებმა ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი წინამდებარე შეთანხმებას:

გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

ორი ათას რვა წლის ოცდაათ დეკემბერს, თვითმმართველი ერთეული, ქალაქ თბილისის მერიის (მთავრობის) სახით ქ.თბილისის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) ადმინისტრაციის უფროსი, მამუკა ახვლედიანი და **შპს „ჩაღლარი“-ს საგანმანათლებლო დაწესებულებების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი“,** შეთანხმდნენ, რომ მათ შორის 2008 წლის 22 აგვისტოს გაფორმებულ გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებაში, რომელიც სანოტარო წესით დამოწმებულია ნოტარიუსის ქ.ოდილავაძის მიერ (რეესტრში რეგისტრაციის №4982/1) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1) **ხელშეკრულებით მესამე მუხლით განსაზღვრული გადახდის გრაფიკი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.**

თანხის გადახდის გრაფიკი:

2008 წლის სექტემბერი - 20 000 (ოცი ათასი) ლარი
2008 წლის ოქტომბერი - 20 000 (ოცი ათასი) ლარი
2008 წლის ნოემბერი - 20 000 (ოცი ათასი) ლარი
2008 წლის დეკემბერი - ----------

2009 წლის იანვარი - 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარი
2009 წლის თებერვალი - 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარი
2009 წლის მარტი - 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარი
2009 წლის აპრილი - 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარი
2009 წლის მაისი - 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარი

2009 წლის ივნისი - 22 500 (ოცდაორი ათას ხუთასი) ლარი
2009 წლის ივლისი - 152 500 (ას ორმოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარი
2009 წლის აგვისტო - 152 500 (ას ორმოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარი
ჯამი: - 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი.

2) ხელშეკრულების მეხუთე მუხლის მეექვსე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას ვადის მითითებით და მას დეკისრება პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება გადაუხდელი თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების საგნის საბუთების გადახდის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ხოლო ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ინფორმაციის წარდგენის ვალდებულების ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში - 20 000 ლარი".

დანარჩენი პუნქტები დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე შეთანხმება ნასყიდობის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. შესრულებულია ქართულ ენაზე ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ქეთევან ოდილავაძის სანოტარო არქივში.

3. წინამდებარე შეთანხმების იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, თან ერთვის დანართი 4 დოკუმენტი: 1) ამონაწერით საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.19.20.027.002, განცხადების რეგისტრაცია №882008259467 - 26.08.2008 14:21:42, მომზადების თარიღი 29.08.2008 17:27:22, 2) 2008 წლის 22 აგვისტოს ნოტარიუსის ქ.ოდილავაძის მიერ გაფორმებული ხელშეკრულება, რეესტრი №4982/1, 3) ქალაქ თბილისის მთავრობის 2008 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №24.46.862, 4) შპს „ჩაღლარი"-ს საგანმანათლებლო დაწესებულებების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი"-ის ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან გაცემული 2008 წლის 19 დეკემბერი, №204379369.

4. წინამდებარე შეთანხმების სანოტარო წესით დამოწმების საზღაური გადახდილია 271,31 ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

5. წინამდებარე შეთანხმება ნოტარიუსმა წაუკითხა მხარეებს. მხარეებმა წაიკითხეს და მოიწონეს იგი, რის შემდეგ ხელი მოაწერეს. გადახდილია 323,73 ლარი

ქალაქ თბილისის მერის
პირველი მოადგილე (ვიცე-მერი)
ადმინისტრაციის უფროსი,
ჯამუკა ახვლედიანი

შპს „ჩაღლარი"-ს საგანმანათლებლო დაწესებულებების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი"-ს დირექტორი
ჯანერ დინჩერის ნდობით აღჭურვილი პირი
რესულ დიქმენ

ქ.თბილისის სანოტარო ბიუროს
ნოტარიუსი
ქ.ოდილავაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

ადრესატი: შპს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204379369
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, შუამთის ქ., №21, მასივი III /საცხენისის და შუამთის ქუჩების გადაკვეთაზე

ადრესატი: შპს ვი თი ჯგუფი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205143824
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გ. კარტოზიას ქ., №6, ბ. 3

წერილის ნომერი: **61-0121041137**
თარიღი: **10/02/2021**
პინი: **4138**

ვებგვერდი: **document.municipal.gov.ge**

ქვენი 2021 წლის 2 თებერვლის №10/01210331839-61 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მერიასა (უფლებამოსილი პირი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო) (შემდგომში - „გამყიდველი“) და შპს „ჩაღლარის საგანმანათლებლო დაწესებულების დემირელის სახელობის კერძო კოლეჯს“ (ს/ნ: 204379369; ამჟამად - შპს „დემირელის სახელობის კერძო კოლეჯი“) (შემდგომში - „მყიდველი“) შორის 2008 წლის 22 აგვისტოს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების („ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ (პირდაპირი მიყიდვის ფორმით) გადახდის განვადებით“) (რეესტრში რეგ. №4982/1, შემდგომში - „ხელშეკრულება“) 5.3 მუხლის შესაბამისად, გამყიდველი არ არის წინააღმდეგი მესამე პირზე (შპს „ვი თი ჯგუფი“ (ს/ნ: 205143824)) გასხვისდეს, ხელშეკრულების საფუძველზე, მყიდველის პირობადებულ საკუთრებაში არსებული, №01.19.20.027.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება (გაერთიანების შედეგად უძრავი ქონების ამჟამინდელი საკადასტრო კოდი - №01.19.20.027.018), იმ პირობით, რომ აღნიშნულით ხელი არ შეეშლება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და მხარეებს შორის ქონების გასხვისების თაობაზე გაფორმებულ შესაბამის ხელშეკრულებ(ებ)ში, ასახული იქნება ის ფაქტი, რომ ქონების ახალი შემძენი გამსხვისებელს სრულად ენაცვლება ნასყიდობის ხელშეკრულებაში და პასუხს აგებს ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა ვალდებულების და მათგან გამომდინარე ყველა სხვა პირობის სრულად შესრულებაზე. ამასთან, გასხვისებულ უძრავ ქონებაზე არსებულ სავარო რეესტრის შესაბამისი ჩანაწერის ველში შენარჩუნდება რეგისტრირებული ვალდებულება - „მყიდველი ვალდებულია შეასრულოს 2008 წლის 22 აგვისტოს №4982/1 ხელშეკრულებით ნაკისრი პირობები“.

ამავე გაცნობებთ, რომ ქონების ნაწილობრივ ან ერთზე მეტ პირზე გასხვისების შემთხვევაში, ყოველი თანამესაკუთრე, ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

საექსპერტო დასკვნა

ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. №21-ში მდებარე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.19.20.027.018) არსებული საოფისე შენობის რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ქ. თბილისი 2022 წლის 07 აპრილი

დამკვეთთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ექსპერტიზაზე, განსახილველად წარმოდგენილია ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. №21-ში მდებარე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ს (ID ნომერი: 205143824) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.19.20.027.018) მდებარე საოფისე შენობის (ოთხსართულიანი შენობა №3/4 საკადასტრო გეგმის მიხედვით. რეკონსტრუქციის პროექტის შემდეგი ნაწილები (წარმოდგენილი მასალების სისწორესა და ავთენტურობაზე პასუხისმგებელია დამკვეთი):

– არსებული საოფისე შენობის რეკონსტრუქციის პროექტის არქიტექტურული ნაწილი დამუშავებულია შპს „სტუდია 9“-ის საპროექტო ჯგუფის მიერ. პროექტის მთავარი არქიტექტური მ. ჩხაიძე.

– სარეკონსტრუქციო შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი მუშა პროექტის სახით დამუშავებულია შპს „ჯი ენ პი“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი ო. ქვრივიშვილი.

– „ქალაქი თბილისი, შუამთის ქუჩა №21. საკ.კოდი 01.19.20.027.018 შპს „ვი თი ჯგუფი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები“, შესრულებულია შპს „არქსტუდიო“-ს ინჟინერ-გეოლოგ ზ. ნაზღაიძის მიერ.

საექსპერტო დასკვნა შესრულებულია შ.პ.ს. “ბალავერი”-ს საპროექტო ჯგუფის მიერ. ექსპერტი ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე.

სარეკონსტრუქციო შენობა მდებარეობს ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. №21-ში, შ.პ.ს „ვი თი ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.19.20.027.018). სამშენებლო ნორმებისა და წესების – “სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09)-ს სეისმური საშიშროების რუქის დანართის მიხედვით სარეკონსტრუქციო შენობის განთავსების უბანი (ე.წ. „მესამე მასივი“-ს დასახლებული პუნქტი, საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით - სექტორი სამგორი) მიეკუთვნება 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას, პიკური აჩქარებით A=0,17.

დაპროექტების ნორმების – “სამშენებლო კლიმატოლოგია”-ს მიხედვით კი: (შესაბამისად ცხრილები 17 და 18):

– თოვლის საფარის წონა შეადგენს – 0,50 კპა-ს (50 კგძ/მ^2).

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა კი – 0,85 კპა-ს (85 კგძ/მ^2), 15-წელიწადში ერთხელ (პარამეტრები აღებულია ქალაქ თბილისის ვარკეთილის დასახლებული პუნქტის მონაცემებიდან).

ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის მიხედვით სარეკონსტრუქციო შენობის განთავსების ტერიტორიის ლითოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს სამი ფენა: ნაყარი, ტექნოგენური გრუნტი (ფენა 1), რომელიც წარმოდგენილია ასფალტის ფენის ნარჩენების, სამშენებლო მასალების ნატეხოვანი ნარჩენების და თიხა გრუნტების ნარევით; შემდეგი ფენაა დელუვიური წარმოშობის თიხოვანი გრუნტი (ფენა 2), რომელიც მოყვითალო და ღია ყავისფერია და წარმოდგენილია „თეთრთვალა“-ს ბუდობების ჩანართებით და ბოლოს, მსხვილნატეხოვანი გრუნტი, კენჭნარი (ფენა 3), რომელიც წარმოდგენილია წვრილი და საშუალო ზომის კენჭებით, თიხნარის შემავსებლებით. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები დეტალურად იხილეთ პროექტის საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში. გრუნტის წყალი დაძიებულ სიღრმემდე არ გამოვლენილა. შენობა გრუნტზე დაფუძნებულია 400 მმ. სისქის მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილით (ფილის ქვეშ მოწყობილია 100 მმ. სისქის ბეტონის მომზადება). საძირკვლის ფუძეს წარმოადგენს მე-3 ფენა, კენჭნარი.

სარეკონსტრუქციო შენობა გეგმაში მარტივი, სწორკუთხა გეომეტრიული ფორმისაა და მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომებია: სიგრძე 30,50 მ, ხოლო სიგანე 16,40 მ. (მიწისპირა სართულის დონეზე) და 18,40 მ. (მეორედან მეოთხე სართულის ჩათვლით). შენობა სავარაუდოდ აგებულია 2012 წელს (თავდაპირველად აგებული იყო ორსართულიანი შენობა ნახევრადსარდაფით, რომელზეც მოგვიანებით დააშენეს ორი სართული). ამჟამად შენობა ხუთსართულიანია (ნულსქვედა ნახევარსარდაფის ერთი სართულით და ნულსზედა ოთხი სართულით). სარდაფის სართულის სიმაღლე 3,0 მ-ია, ხოლო დანარჩენი ნულსზედა სართულების სიმაღლე 3,60 მ-ია. პირობით 0,000 ნიშნულად მიღებულია პირველი სართულის იატაკის ზედაპირი, რომელსაც შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 442,400. შენობის საანგარიშო კონსტრუქციული სქემა კარკასულია. მის ძირითად მზიდ ელემენტებს წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის კარკასი, სვეტები და რიგელები. სვეტები მთლიანკედლიანი მართკუთხა ფორმისაა და მათი განივი კვეთია 600X400 მმ. სართულშუა და სასხვენო გადახურვები შესრულებულია მონოლითური რკიბნაბეტონის 180 მმ. სისქის წიბოვანი ფილებით, რომლებიც კარკასის ელემენტებთან ერთად ქმნიან სიხისტის ჰორიზონტალურ დისკოს და უზრუნველყოფენ შენობის სივრცით სიხისტეს. გადახურვის ფილების წიბოების (მონოლითური რკინაბეტონის კარკასის რიგელები) განივი კვეთი 400X550(h) მმ-ია. სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება მონოლითური რკინაბეტონის ორი ორმარშიანი მონოლითური რკინაბეტონის შიგა კიბეებით.

არსებული შენობის რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს მთავარი შესასვლელი გარე კიბის (წინაფრის) და სახურავის რეკონსტრუქციას: მთავარი შესასვლელი კიბის წინაფრის რეკონსტრუქციისთვის მოწყობილია მონოლითური

რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკვლები, ხოლო კარკასი შესრულებულია ლითონის კონსტრუქციებით. რაც შეეხება სახურავის რეკონსტრუქციას, ის მთლიანად გადაწყვეტილია ლითონის კარკასში, რომლის ელემენტებიც ელექტრორკალური შედუღების მეშვეობით დადუღებულია არსებული მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში საანკერე წებოთი (ე.წ. „ქიმიური ანკერი“) ჩაანკერებულ ჩასატანებელი დეტალების ლითონის ფურცლებზე.

საექსპერტოდ წარმოდგენილი რეკონსტრუქციის პროექტის საძირკვლებისა და კარკასის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების კვეთები და არმირება შერჩეულ იქნა ანგარიშით მიღებული ძალვების გათვალისწინებით. მანსარდის ტიპის სახურავის კონსტრუქციებში: სვეტებად შერჩეულია □150X5 მმ. განივი კვეთის მქონე კვადრატული მილები; გადახურვის კონსტრუქციებში გამოყენებულია IPE220 და IPE200 ნიშანდების ორტესებრი პროფილისა და □40X3 მმ. განივი კვეთის მქონე კვადრატული მილების ელემენტები. შესასვლელი წინაფრის რეკონსტრუქციის პროექტის მიხედვით, ლითონის სვეტებისთვის მოწყობილია ტუმბოების ტიპის მონოლითური რკინაბეტონის წერტილოვანი საძირკვლები, რომელთა ძირის გაბარიტული ზომებია 700X700 და 1300X700 მმ. ორთავე საძირკვლის სიმაღლე 500 მმ-ია და ისინი დაფუძნებულნი არიან ნაყარი, ტექნოგენური გრუნტის ფენაზე (ფენა 1). მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი, ხოლო არმირება განხორციელებულია A500C კლასის არმატურის ღეროებით. რეკონსტრუქციის პროექტით შესასვლელი ნაწილისთვის გათვალისწინებული ლითონის კონსტრუქციების კვეთები შერჩეულია შემდეგი ელემენტებისგან: სვეტები ლითონის ნაგლინი მილკვადრატებისგან განივი კვეთით □100X5 მმ; გადახურვის კოჭები ლითონის ნაგლინი ორტესებრი პროფილის კონსტრუქციებისგან განივი კვეთით IPE270, I№22 ნიშანდების ორტესებრი პროფილის კოჭები.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალები შესწავლილ იქნა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილთან ერთობლიობაში, კონსტრუქციული ნაწილი კი დეტალურად. პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანალიზური შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტი გრაფიკულად დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მაგრამ, ექსპერტს მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

– განმარტებითი ბარათის მიხედვით ქარის დატვირთვად დაფიქსირებულია 38,75 კგძ/მ^2 (სავარაუდოდ მექანიკური შეცდომაა), მაგრამ დაპროექტების ნორმების – „სამშენებლო კლიმატოლოგია“-ს მონაცემების მიხედვით (ცხრილი 18. გვ. 65) სარეკონსტრუქციო შენობის ტერიტორიის უახლოესი დასახლებული პუნქტის, ვარკეთილისათვის დაფიქსირებულია 85 კგძ/მ^2.

– ფურცელი №15 („კონსტრუქციების განლაგების სქემა +7,100 ნიშნულზე“). მე-7 ღერძის გასწვრივ გადახურვის ელემენტად დაფიქსირებულია IPE270 ნიშანდების ორტესებრი პროფილის კოჭი, ხოლო №22 ფურცელზე დამუშავებულ „მასალათა ხარჯის უწყისი“-ს

სპეციფიკაციაში დაფიქსირებულია IPE200E პროფილის ორტესებრი კოჭი, საჭიროა შეუსაბამობის აღმოფხვრა.

– ფურცელი №16. ფურცელზე დამუშავებულია „ვერტილოვანი საძირკველი ვ.ს-1“. დეტალზე „ჭრილი 1-1“ არ არის მითითებული საძირკვლის არც ზედაპირის და არც ძირის ვერტიკალური ნიშნულები. იგივე შენიშვნა გვაქვს №17 ფურცელზე დამუშავებული „ვ.ს-2“ ვერტილოვანი საძირკვლის მიმართაც (ნახაზის დასახელებაში გაპარულია მექანიკური შეცდომა და საძირკველი ნიშანდებულია როგორც „ვ.ს-1“). ექსპერტის მოსაზრებით, რადგანაც ვერტილოვანი საძირკვლები განლაგებულია ნაყარ გრუნტზე (რომელიც სავარაუდოდ არაერთგვაროვანია), ისინი სასურველია მოეწყოს ხელოვნური ფუძის დატკეპნილ შრეზე.

– ფურცელი №18. ფურცელზე დამუშავებულია მონოლითური რკინაბეტონის კედლისა და გარე კიბის ჭრილები (შესაბამისად „ჭრილი 1-1“ და „ჭრილი 2-2“), მაგრამ პროექტში არ არის დამუშავებული მათი მასალების ხარჯის სპეციფიკაცია, ამასთან „ჭრილი 1-1“-ზე არ არის ნიშანდებული („მარკირებული“) ვერტიკალური ბადეების დამჭერი კაუჭები.

– ფურცლები №19 და №20 (შესაბამისად ჭრილები „3-3“ და „4-4“). ჭრილების დეტალები დამუშავებულია ძალზედ ზოგადად, დეტალებზე არ არის დაფიქსირებული კონსტრუქციული ელემენტების ნიშანდება („მარკირება“).

– ფურცელი №21. წინა ფურცლებისგან განსხვავებით კონკრეტულ ფურცელზე კონსტრუქციული ელემენტები ნიშანდებულია, მაგრამ არ არის დაფიქსირებული სიმაღლეების აღმნიშვნელი ნიშნულები. ამასთან „ჭრილი 7-7“-ზე არ არის მითითებული კოჭის ნაშვერის სიგრძის რიცხვითი მნიშვნელობა.

– ფურცელი №22. ფურცელზე დამუშავებულია „მასალათა ხარჯის უწყისი“, მაგრამ სპეციფიკაციაში მითითებული კვეთები არ ემთხვევა №14 ფურცელზე დაფიქსირებულ სიდიდეებს. საჭიროა სპეციფიკაციის ხელახლა დმუშავება.

ექსპერტის მიერ დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინების ან დასაბუთებულად უარყოფის შემთხვევაში ექსპერტიზაზე წარმოდგენილ, ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. №21-ში მდებარე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.19.20.027.018) მდებარე საოფისე შენობის (ოთხსართულიანი შენობა №3/4 საკადასტრო გეგმის მიხედვით) რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს მიეცემა დადებითი შეფასება მშენებლობის ნებართვის მისაღებად.

შპს „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე

საკ. ტელ: 5.77 757 028; 5.98 922 254

გავეცანი კონსტრუქტორის პასუხებს ექსპერტის შენიშვნებზე, პასუხები მისაღებია. ქალაქ თბილისში, შუამთის ქ. №21-ში მდებარე, შპს „ვი თი ჯგუფი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.19.20.027.018) მდებარე საოფისე შენობის (ოთხსართულიანი შენობა №3/4 საკადასტრო გეგმის მიხედვით) რეკონსტრუქციის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს ეძლევა დადებითი შეფასება მშენებლობის დაწყების ნებართვის მისაღებად.

შპს „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე

09.04.22

CV

რამაზ აფხაძე



ეროვნება: ქართველი
სქესი: მამრობითი
დაბადების თარიღი: 16.07.1949 წ.
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
კონტაქტი: ტელ: 2 63 22 52
მობ: 577 757 028; 571 490 107
5.98 922 254
E-mail: shuxuteli@yahoo.com
shuxuteli@gmail.com

სამუშაო გამოცდილება

შ.პ.ს. "ტანდემი"	- დირექტორი 2011 წლიდან.
შ.პ.ს. "ედრი+"	- მთავარი ინჟინერი 2009 წლიდან.
სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები:	- საცხოვრებელი; სამრეწველო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობათა პროექტირება 1993 წლიდან. - მშენებლობის საავტორო ზედამხედველობა 1998 წლიდან. - პროექტების ექსპერტიზა და შენობა-ნაგებობათა მდგომარეობის გამოკვლევის საექსპერტო შეფასება 2000 წლიდან. - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები 2006 წლიდან
სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობის საპროექტო -საკონსტრუქტორო ბიურო, "რემმშენპროექტი"	- წამყვანი კონსტრუქტორიდან განყოფილების უფროსის თანამდებობამდე. 1976-1993.
ქ. თბილისის საპროექტო ინსტიტუტი „თბილზნიეპი"	- კონსტრუქტორი. 1973-1976.

გარდა ზემოაღნიშნულისა 2006 წლიდან დარეგისტრირებული ვარ საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროში განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ექსპერტად პროექტების კონსტრუქციულ ნაწილში - 2006 წლიდან და შენობათა მდგომარეობის გამოკვლევა – 2009 წლიდან.

2016 წელს მომანიჭეს საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება (ბრძანება №1-1/663 07.12.2016). 2019 წელს ამირჩიეს საქართველოს საინჟინრო აკადემიაში მრჩევლად (წიგნაკი №5-171 25.03.2019).

განათლება: 1967-1974. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სპეციალობა-სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

ენები: ქართული – მშობლიური; რუსული – სრულყოფილად.

კომპიუტერული ცოდნა: Windows Ms; Word; Excel; AutoCAD; Internet Explorer.

სხვადასხვა: ა/მანქანის მართვის „B" კატეგორია.

დიპლომი

Я № 182258

ეს დიპლომი მიეცა აფხაძე
რამაზ ნოდარის-ძეს
მასზე, რომ იგი 1968 წელს შევიდა
საქართველოს ვ.ი. ლენინის სახ.
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1974 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით
სამრეწველო და სამოქალაქო
მშენებლობა.
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1974 წ.
„29" ივნისის გადაწყვეტილებით
რ.ნ. აფხაძეს მიენიჭა
ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე
რექტორი
მდივანი

ქალაქი თბილისი 1974 წ. „5" X
სარეგისტრაციო № სტ-3557

Грузинский яз.

ДИПЛОМ

Я № 182258

Настоящий диплом выдан Апхадзе
Рамазу Нодаровичу
в том, что он в 1968 году поступил
в Грузинский политехнический
ин-ут им. В.И. Ленина
и в 1974 году окончил полный курс
названного института
по специальности
Промышленное и гражданское
строительство
Решением Государственной экзаменационной комиссии от „29" июня 1974 г.
Апхадзе Р.Н.
присвоена квалификация
инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии
Ректор
Секретарь

М. п. Город Тбилиси „5" X 1974 г.
Регистрационный № ст-3557

Московская типография Гознака. 1972.

საქართველო

მოქალაძის პირადობის მოწმობა

პირადი № 01003019723

სახელი რამაზი

გვარი აფხაძე

დაბადების თარიღი 16.07.1949

დაბადების ადგილი ლანჩხუთი



№ ბ 1405779

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბილისი მუხიანი I მ/რ კორ. 13 ბ. 146

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გლდანი–ნაძალადევის სამსახური

გაცემის თარიღი 15.11.2010

მოქმედების ვადა 15.11.2020

რეგისტრაციის თარიღი 15.11.2010

ბ.ა.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დამკვეთი: სსიპ სრ. შემსრულებელი: შპს „კაბადონი +"; სფს რეგისტრაციის № 05-1623

დაჯილდოების

სიგელი

ბატონ რამაზ აფხაძეს

საქართველოს მშენებლობის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული
წვლილის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის
2016 წლის 7 დეკემბრის №1-1/663 ბრძანებით მიენიჭა

საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი

გიორგი გახარია

საქართველოს საინჟინრო აკადემიის
მრჩეველი

ბ-ნი *რამაზ ნოდარის ძე*
აფხაძე
(არჩეულია 2019 წლის 25 მარტს)



პირადი ხელის მოწერა
აკადემიის პრეზიდენტი
ა. ფრანგიშვილი

Советник
ИНЖЕНЕРНОЙ АКАДЕМИИ ГРУЗИИ

г-н *Апхадзе*
Рамаз Нодарович
(избран 25 Марта 2019 года)

№ 5- 171

Counsellor of
The ENGINEERING ACADEMY of
GEORGIA

Mr. *Ramaz N. Apkhadze*
(elected on March 25, 2019)

License #3010*1WBRTCYNZ66LSJV

Created by GNP Ltd

Chief engineer:  Otar Kvrivishvili

SAP2000 Analysis Report

Model Name: ferma.sdb

24 May 2022

Contents

1. Model geometry 4
1.1. Joint coordinates 4
1.2. Joint restraints 5
1.3. Element connectivity 5
2. Material properties 8
3. Section properties 8
3.1. Frames 9
3.2. Solids 10
4. Load patterns 10
4.1. Definitions 10
5. Load cases 11
5.1. Definitions 11
5.2. Static case load assignments 11
5.3. Response spectrum case load assignments 11
6. Load combinations 12
7. Structure results 13
7.1. Mass summary 13
7.2. Modal results 14
7.3. Base reactions 15
8. Joint results 15
9. Frame results 16
10. Material take-off 28
11. Design preferences 28
11.1. Steel design 28
11.2. Concrete design 29
11.3. Aluminum design 29
11.4. Cold formed design 29
12. Design overwrites 30
12.1. Steel design 30
13. Design summary 38
13.1. Steel design 38

List of Figures

Figure 1: Finite element model 4
Figure 2: Deformed shape 13

List of Tables

Table 1: Joint Coordinates 4
Table 2: Joint Restraint Assignments 5
Table 3: Connectivity - Frame 5
Table 4: Frame Section Assignments 6
Table 5: Frame Release Assignments 1 - General, Part 1 of 2 7
Table 5: Frame Release Assignments 1 - General, Part 2 of 2 7
Table 6: Material Properties 02 - Basic Mechanical Properties 8
Table 7: Material Properties 03a - Steel Data 8
Table 8: Material Properties 03b - Concrete Data 8
Table 9: Material Properties 03f - Tendon Data 8
Table 10: Frame Section Properties 01 - General, Part 1 of 5 9

Table 10: Frame Section Properties 01 - General, Part 2 of 5 9
Table 10: Frame Section Properties 01 - General, Part 3 of 5 9
Table 10: Frame Section Properties 01 - General, Part 4 of 5 9
Table 10: Frame Section Properties 01 - General, Part 5 of 5 10
Table 11: Solid Property Definitions 10
Table 12: Load Pattern Definitions 10
Table 13: Load Case Definitions, Part 1 of 2 11
Table 13: Load Case Definitions, Part 2 of 2 11
Table 14: Case - Static 1 - Load Assignments 11
Table 15: Function - Response Spectrum - User 11
Table 16: Combination Definitions 12
Table 17: Assembled Joint Masses, Part 1 of 2 13
Table 17: Assembled Joint Masses, Part 2 of 2 14
Table 18: Modal Participating Mass Ratios 14
Table 19: Base Reactions 15
Table 20: Joint Displacements 15
Table 21: Joint Reactions 16
Table 22: Element Forces - Frames, Part 1 of 2 16
Table 22: Element Forces - Frames, Part 2 of 2 22
Table 23: Material List 2 - By Section Property 28
Table 24: Preferences - Steel Design - Eurocode 3-2005, Part 1 of 3 28
Table 24: Preferences - Steel Design - Eurocode 3-2005, Part 2 of 3 28
Table 24: Preferences - Steel Design - Eurocode 3-2005, Part 3 of 3 29
Table 25: Preferences - Concrete Design - Eurocode 2-2004, Part 1 of 2 29
Table 25: Preferences - Concrete Design - Eurocode 2-2004, Part 2 of 2 29
Table 26: Preferences - Aluminum Design - AA 2015, Part 1 of 2 29
Table 26: Preferences - Aluminum Design - AA 2015, Part 2 of 2 29
Table 27: Preferences - Cold Formed Design - AISI-16, Part 1 of 2 30
Table 27: Preferences - Cold Formed Design - AISI-16, Part 2 of 2 30
Table 28: Overwrites - Steel Design - Eurocode 3-2005, Part 1 of 8 30
Table 28: Overwrites - Steel Design - Eurocode 3-2005, Part 2 of 8 32
Table 28: Overwrites - Steel Design - Eurocode 3-2005, Part 3 of 8 33
Table 28: Overwrites - Steel Design - Eurocode 3-2005, Part 4 of 8 34
Table 28: Overwrites - Steel Design - Eurocode 3-2005, Part 5 of 8 35
